ზაქ 8,20-23; ფს 86; ლკ 9,51-56

მისიონერთა თვე

გაგებული გვაქვს, რომ თქვენთან არის ღმერთი ზაქ 8,23

ზაქარიას ამ წინასწარმეტყველებაში წარმართები მიიწევენ ებრაელებისკენ, ვინაიდან ხედავენ წესრიგსა და მშვიდობას, მათ ოჯახებსა და საზოგადოებაში რომ სუფევს. მცნებები, რომლებითაც ებრაელები ცხოვრობენ, უსაფრთხოებასა და სტაბილურობას ანიჭებს ხალხს. ამ უკანასკნელში სიხარული ისადგურებს ლოცვის მომენტებში. ასე ეკლესიაც მიმზიდველი ადგილის სამყაროში.

2 ოქტომბერი

რიგითი XXVI კვირა [II]

წმ. მფარველ ანგელოსთა, (მ) [ს], თ

2019 ოთხშაბათი

გამ 23,20-23; ფს 90; მთ 18,1-5.10

იესომ დაუძახა ბავშვს მთ 18,2

დღეს მოვიხსენიებთ ჩვენს მფარველ ანგელოზებს. ისინი არიან კონკრეტული ნიშანი სიყვარულისა, რომლითაც ღმერთი მიჰყვება თითოეული ჩვენგანის ცხოვრებას პატარაობიდანვე. იესო ამას ამტკიცებს ბავშვებთან მიმართებაში: მათი ანგელოზები ღმერთის წინაშე არიან დღისით და ღამით. ამიტომ, შენ გეყვარება ბავშვები და მათი მსგავსი ბავშვი გახდები, რათა განდიდდე, რათა დატკბე ღმერთის მზერით, მუდამ შენკენ რომაა მომართული.

3 ოქტომბერი

რიგითი XXVI კვირა [II], მწ

2019 ხუთშაბათი

ნეემ 8,1-4.5-6.7-12; ფს 18; ლკ 10,1-12

უფლის სიხარული თქვენი ძალაა ნეემ 8.10

იესო წარგზავნის თავის მოწაფეებს, რომ იქადაგონ ღმრთის სასუფევლის მყოფობა, უწყება, გულებს რომ ახარებს. ისინი თა-ვადაც გაიხარებენ, ვინაიდან უკვე ხარობენ იესოს ყოფნით. ეს სიხარული მათ მისცემს ძალას, რომ განაგრძონ ქადაგება.

ბარ 1,15-22; ფს 78; ლკ 10,13-16

მ. იან სნეჟინსკის გახსენება (+2011)

ყოველივე ჩემი მამისგან გადმომეცა მთ 11,27

მადლობა შევწიროთ იესოს მისი წმიდანებისთვის, მათთვის, ვინც მსხვერპლად შეეწირნენ, რომ ადამიანთა შორის მოეტანათ ღმრთის სიწმიდე. სწორედ ამიტომ, წმ. ფრანცისკე კვლავ განსაცვიფრებელი და სასურველია. მან ცხადად აჩვენა იესოს პირველობა, რომელმაც მიჰმადლა მას, რომ თავის სხეულში აღებეჭდა ხუთი იარა, სტიგმატები. ასე, შეძლო მისთვის ეთქვა: „იესო, მამამ გადმოგცა შენ ჩემი ცხოვრებაც, ჩემი სულიცა და ჩემი სხეულიც!“.

5 ოქტომბერი

რიგითი XXVI კვირა [II], მწ

წმ. ფაუსტინა კოვალსკა, მონაზ., +1938

2019 შაბათი

ბარ 4,5-12.27-29; ფს 68; ლკ 10,17-24

რუსთავის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

გამხნევდით, შვილებო, და შეჰღაღადეთ ღმერთს ბარ 4,27

ასე გვაგულიანებს იერემია წინასწარმეტყველის მდივანი, თავადაც ღმერთის წინასწარმეტყველი. თავდაპირველად, იგი ხსნის, რატომ აღმოჩნდა ხალხი დიდ სატანჯველში: "რადგან გააჯავრეთ თქვენი შემოქმედი, რადგან ეშმაკებს სწირავდით მსხვერპლს". თუმცა, მას როდი სურს, რომ იმედი დაკარგონ: თუკი ღმერთისადმი მორჩილ ცხოვრებას დაუბრუნდებიან, თავად იგი აკურთხებს მათ.

6 ოქტომბერი

რიგითი ჟამის XXVII კვირადღე, «გ», [III], მწ

2019 კვირა

აბაკ 1,2-3; 2,2-4; ფს 94; 2ტიმ 1,6-8.13-14; ლკ 17,5-10

უსარგებლო მსახურნი ვართ ლკ 17,10

მონები არასდროს არიან უსარგებლონი. თუმცა, ისინი მუდამ მონები არიან: მათი თვისება, მათ რომ სასურველად აქცევს იმათთვის, ვისაც ემსახურებიან, არის თავმდაბლური გახსნილობა. ასე თავიანთი პატრონის გულს ეუფლებიან. საკუთარი თავი რომ შეექოთ ან რაიმე მოეთხოვატ, არასასურველნი იქნებოდნენ. ჩვენთვის ხომ დიდი სიმდიდრე და დიდი ტრაბახია, როდესაც თავს ღმრთის მონებს ვუწოდებთ, მარიამის მაგალიტზე!

7 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III] მწ

სავარდის ნეტარი ქალწული მარიამი, (მ)

2019 ორშაბათი

იონ 1,1 – 2,1.11; ფს: იონ 2,3-5.8; ლკ 10,25-37 (ან, საქმ 1,12-14; საგალობელი ლკ 1,46-55; ლკ 1,26-38)

ახალციხის რაბათის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მოძღვარო, რა უნდა გავაკეთო, რომ დავიმკვიდრო საუკუნო სიცოცხლე? ლკ 10,25

რა მშვენიერი შეკითხვაა! იესოს მოსწონს. ის აჩვენებს, რომ ამ შეკითხვის დამსმელი აცნობიერებს, აღარ უნდა იყოს სულ კმაყოფილი. მას ხომ დიდი სიმდიდრე ჰქონდა! იცი, რა უპასუხა იესომ? ასე უთხრა მას: არჩევანი გააკეთე შენს სიმდიდრესა და ჩემს შორის. თუ მე ვერ შევძლებ მთელი შენი გულის დაუფლებას, შენ ვერ გექნება სავსე ცხოვრება!

8 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III] მწ

(25.IX) წმ. არსენ დიდი კათალიკოსი, +887

2019 სამშაბათი

ოინ 3,1-10; ფს 129; ლკ 10,38-42

იხილა ღმერთმა მათი საქმენი, რომ მოექცნენ ოინ 3,10

ღმერთი თვალს როდი ხუჭავს. იგი ხედავს ბოროტებას, ჩვენ რომ ჩავდივართ, მაგრამ ხედავს ჩვენი მოქცევის ნაბიჯებსაც, როგორც ნინევის წარმართთა ნაბიჯები დაინახა. ხოლო იესომ სთხოვა მართასაც, რომელსაც უყვარდა იგი, რომ ერჩია უღრმესი სიყვარული, რომელიც, პირველ რიგში, მისი სტუმრების ხორცის საჭიროებებზე კი არ ზრუნავდა, არამედ მათი შინაგანი თანაზიარების წადილზე.

9 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III] მწ

წმ. დიონისე ეპ. და მეგ., წამ., +IIIს.
წმ. იოანე ლეონარდი, ხუც., +1609

2019 ოთხშაბათი

იონ 4,1-11; ფს 85; ლკ 11,1-4

მ. პეტრე ხარისჭირაშვილის გახსენება (+1892)

უფალო, გვასწავლე ლოცვა ლკ 11,1

ამ თხოვნის საპასუხოდ, იესოს არ უთქვამს: ‘კი მაგრამ, თქვენ უკვე შეგიძლიათ!’, არც ეს: ‘გააკეთეთ ისე, როგორც ყოველტვის აკეთებდით!’, და არც ეს: ‘ვერასდროს ისწავლით!’. არამედ მან უმალვე ასწავლა, რაც არის ნიშანი იმისა, რომ ლოცვის სწავლა შესაძლებელია და რომ სასარგებლოა ვეძებოთ ლოცვის სკოლა!

10 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III] მწ

2019 ხუთშაბათი

მალ 3,13-20; ფს 1; ლკ 11,5-13

დავინდობ მათ, როგორც კაცი დაინდობს თავის ძეს, რომელიც ემორჩილება მალ 3,17

მალაქია წინასწარმეტყველის მეშვეობით, უფალი საყვედურობს თავის მგმობელებს და ეუბნება მათ, რომ უსარგებლოა მცნებების დაცვა. მაგრამ უფალი ხედავს თავის მოშიშებსა და მორჩილებსაც. თუმც კი ურჩთა უსამართლობებით იტანჯებიან, ისინი ძლიერ ენდობიან ღმრთის ერთგულებას, რომელიც არასდროს ივიწყებს მათ!

11 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III] მწ
წმ. იოანე XXIII, პაპი, +1963

2019 პარასკევი

იოელ 1,13-15;2,1-2; ფს 9; ლკ 11,15-26

ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემს წინააღმდეგაა ლკ 11,23

თავი რომ დაიცვა ბრალდებისგან, თითქოს ეშმაკი ეხმარებოდა, იესო საფრთხესაც გადაურჩა. ვისაც ძალუძს საკუთარი თავიდან ეშმაკის განდევნა, ჯერ კიდევ არაა უსაფრთხოდ, ვინაიდან ბოროტი დაბრუნებას ცდილობს. საჭიროა, მის უკან იდგას მასზე უფრო ძლიერი. ნაცვლად იმისა, რომ ეშმაკის განდევნაზე იდარდო, იზრუნე იმაზე, რომ მყარად გყავდეს იესო გულში!

12 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III] მწ

2019 შაბათი

იოელ 4,12-21; ფს 96; ლკ 11,27-28

ნეტარი ის არის, ვინც ისმენს და იცავს ღვთის სიტყვას ლკ 11,28

ასეთია მარიამის მიერ განცდილი ნეტარება, რომლის წყალობითაც გახდა იესოს დედა. ჩვენ კი მისგან ვისწავლოთ სიხარულითა და ნდობით. როდესაც ღმრთის სიტყვას ვისმენთ და მის შესრულებას ვცდილობთ, ჩვენი გული აუხსნელად ივსება სიხარულით!

13 ოქტომბერი

2019 კვირა

ყმეფ 5,14-17; ფს 97; 2ტიმ 2,8-13; ლკ 17,11-19

ნუთუ ათივენი არ განიწმიდნენ? ცხრანი სადღა არიან? ლკ 17,17

რა ადვილია მიღებული სიკეთეების დავიწყება! და რა ადვილია მოკეთის დავიწყება! რამდენჯერ დამკარგა იესომ! და რამდენჯერ განკურნა მან ჩემი ურთიერთობები სხვებთან! დღეს მსურს, მადლობა შევწირო და საკუთარ თავი მივიძღვნა მას, თუკი ჩემს გამოყენებას მოისურვებდა თავისი სიყვარულის მცირედის ხორცშესხმისთვის.

რიგითი XXVIII კვირა [IV] მწ
წმ. კალიქსტე I, პაპი და წამ., +222;
(1.X) დღესასწაული კვართისა; წმმ. მირიან და ნანა, IVს.;
წმ. მელქისედეკ I, კათალიკოს-პატრიარქი, +1033

რომ 1,1-7; ფს 97; ლკ 11,29-32

მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე

და აჰა, აქ არის იონაზე დიდი ლკ 11,32

იონა ვერ განიცდიდა მამის
გულმოწყალეობას, მიუხედავად
იმისა, რომ მოქცევისკენ მოუწოდებდა
ნინეველებს. ამ უკანასკნელთ ყურადღება
არ მიუქცევიათ მისი გულქვაობისთვის და
ირწმუნეს მისი სიტყვები. და მოიქცნენ. შენ,
იესო, გვიჩვენებ მამის გულმოწყალეობას,
პირველი შენ ასრულებ მას; განა მე
უკეთ არ მოგისმენ შენ, ვიდრე ნინეველი
წარმართები უსმენდნენ იონას?

15 ოქტომბერი

2019

სამშაბათი

რიგითი XXVIII კვირა [IV]

წმ. თერეზა ავილელი, ქალწ., მოძ., +1582, (მ), თ
(2.X) წმმ. დიდმოწამენი დავითი და კონსტანტინე, +740

რომ 1,16-25; ფს 18; ლკ 11,37-41

მართალი იცოცხლებს რწმენით რომ 1,17

წმ. პავლეს არ რცხვენია სახარების, რომელსაც აუწყებს. ესაა უწყება, რომელიც იხსნის მწუხარებისგან და უიმედობისგან, რომელშიც ცოდვა გვაგდებს. სახარებიდან, რომელიც გაგებულია, იბადება რწმენა, ის რწმენა, ღმერთისთვის სასურველად რომ გვაქცევს და სიხარულით რომ გვაცოცხლებს. არც მე მრცხვენია.

16 ოქტომბერი

2019

რიგითი XXVIII კვირა [IV] მწ

წმ. იადვიგა, მონ., +1243;
წმ. მარგარიტა მარია ალაკოკ, ქალწ., +1690

ოთხშაბათი

რომ 2,1-11; ფს 61; ლკ 11,42-46

რადგან მიკერძოება უცხოა ღვთისათვის

რომ 2,11

ღმერთი არ გამჯობინებს იმის გამო, რომ ერთ ერს წარმოადგენს, ნაცვლად მეორისა. იგი იარლიყს რომ უყურებს..., არამედ გულს უცქერს, არის თუ არა ის გულმოწყალე! როგორ ახარებ მას, როდესაც გულმოწყალედ იქცევი!

17 ოქტომბერი

რიგითი ჟამის XXVIII კვირა [IV]

წმ. ეგნატე ანტიოქიელი, ეპ. და წამ., +~107, (მ), წ

2019 ხუთშაბათი

რომ 3,21-30; ფს 129; ლკ 11,47-54

რწმენით მართლდება კაცი რომ 3,28

ამგვარი უწყება განსაკუთრებითაა პავლე მოციქულის გულში. ის იყო ებრაელი, ფარისეველი, წინდაცვეთილი, ზედმიწევნითიცავდა რფჯულს, მაგრამ ეს ყველაფერი არ აძლევდა მას სიხარულს, არ გადასცემდა მას სულიწმიდას! მხოლოდ იესოსადმი რწმენის წყალობით მიიღო სული, რომელმაც გახადა იგი გულმოწყალე, ერთგული, სიხარულით სავსე, ყველას მოყვარე, თვინიერი, მომთმენი!

18 ოქტომბერი

წმ. ლუკა, მახარებელი, დ, [ს], წ

(5.X) წმ. ღირსი გრიგოლ ხანძთელი, +861;
კლარჯეთის უდაბნოს ღირსნი მამანი და დედანი, VIII-IXსს.

2019 პარასკევი

2ტიმ 4,10-17; ფს 144; ლკ 10,1-9

სამკალი ბევრია, მუშაკი - ცოტა ლკ 10,2

წმ. ლუკა ღმრთის სასუფევლის ერთგული და ძვირფასი მუშაკი იყო. მან დაწერი ოთხი სახარებიდან ერთ-ერთი და მოციქულთა საქმეები. მან შეიყვარა სამკალი, ის უხვი სამკალი, რომელსაც იღებენ და მიაქვთ იესოსთან. სამკალის სიუხვის შემხედვარე, მრავალი ადამიანი, მოწადინებულნი რომ ელოდებიან სახარების ლამაზ უწყებას, შევთავაზოთ უფალს, რომ სიხარულით ითანამშრომლონ მასთან.

19 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV]

წმმ. იოანე დე ბრებეფი და ისააკ ჟოგი, ხუც. და მეგ., წამ., +XVII ს; / წმ. პავლე ჯვრისა, ხუც., +1775

2019

შაბათი

რომ 4,13.16-18; ფს 104; ლკ 12,8-12

სულიწმიდა გასწავლით იმ დროს, რაც უნდა ილაპარაკოთ ლკ 12,12

რამდენჯერ დავდარდიანებულვარ უსარგებლოდ! ვდარდობ, რომ კარგ პიროვნებად წარმოვჩნდე საკუთარი საუბრით, რომ ცუდად არ შემაფასონ იმ ადამიანებმა, რომლებსაც ვხვდებოდი. არადა საკმარისი იქნებოდა ჩემთვის, რომ სულიწმიდას მივენდო! როდესაც მას ვენდობი, უმალვე მირჩევს, რისი თქმაც სასარგებლო, საჭირო და ბრძნულია მსმენელის სასიკეთოდ.

20 ოქტომბერი

რიგითი ჟამის XXIX კვირადღე, «გ», [I], მწ

2019 კვირა

გამ 17,8-13; ფს 120; 2ტიმ 3,14 - 4,2; ლკ 18,1-8

მისიონერთა მსოფლიო დღე, შესაწირი მისიებისათვის

როცა მოვა ძე კაცისა, ჰპოვებს კი რწმენას დედამიწაზე? ლკ 18,8

იგავი, რომელიც საუბრობს იმის საჭიროებაზე, რომ გამუდმებით ვილოცოთ, რომ არასდროს დავიღალოთ ლოცვით, ჩემში აღვივებს სურვილს, რომ მამის წინაშე წარვდგე და მას წარვუდგინო ეკლესიის დიდი საჭიროებები, და ისინი წარვუდგინო შეუდრეკლად, დამღლელად! მაგრამ, რა საკვირველია, ის არასდროს იღლება: არამედ კმაყოფილია იმის ხილვით, რომ მის მიმართ ჩვენი რწმენა ძლიერი და შეუპოვარია!

21 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I]

2019 ორშაბათი

რომ 4,20-25; ფს: ლკ 1,69-75; ლკ 1,68-75

რაც დაიმზადე, ვიღას დარჩება? ლკ 12,20

ადამიანი უგუნურია. უგუნურია ის, ვინც სულ უფრო დიდ მაღაზიებს აწყობს გასამდიდრებლად. უგუნურია ის, ვინც არად აგდებს ღარიბებს. უგუნურია ის, ვინც მხოლოდ პენსიით სარგებლობაზე ფიქრობს. ყველას ავიწყდება, რომ ღმერთი მამაა, და უიმისოდ ანგარიშობენ და გეგმავენ, და არც კი ახსოვთ, ვინ იცის, ხვალ კიდევ აქ იქნებიან თუ არა...

22 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I]

წმ. იოანე პავლე II, პაპი, +2005, (მ) თ

2019 სამშაბათი

რომ 5,12.15.17-19.20-21; ფს 39; ლკ 12,35-38

იყავით მზად ლკ 12,35

იესო, მინდა მზად ვიყო შენს მისაღებად,
რომ მოგესალმო და სიხარულით
გემსახურო. არ ვიცი, როდის მოხვალ: ამ
საღამოს, რომ მთხოვო ყრმას მოვუსმინო?
თუ ცოტა ხანში, რომ დავინახო,
თავაზიანად ვუწვდი თუ არა ხელს მას,
ვინც მე მელოდება? თუ შუადღით, რომ
ნუგეშისა და რწმენის სიტყვით მივმართო
სნეულს ან მას, ვინც გეურჩება?

23 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I] მწ
წმ. იოანე კაპესტრანელი, ხუც., +1456

2019 ოთხშაბათი

რომ 6,12-18; ფს 123; ლკ 12,39-48

ყველას, ვისაც მეტი მიეცა,
მეტს მოსთხოვენ ლკ 12,48

პეტრე შეწუხებული იყო: ვის მიმართ იყო
იესოს იგავი? იესო არ წუხს: მან იცის,
რომ მის ყოველ სიტყვას თითოეული
თავის ყოფისა და უნარისამებრ ისმენს. ნუ
უდარდებ სხვების გამო, არამედ მხოლოდ
იმაზე იზრუნე, რომ ყურადღებით და
მორჩილებით გისმინონ.

24 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I] მწ
წმ. ანტონ მარია კლარეტი, ეპ., +1870;
ნ. ჯუზეპე ბალდო, წმ. იოსების პატარა ქალიშვილთა
კონგრეგაციის დამაარსებელი, +1915

2019 ხუთშაბათი

რომ 6,19-23; ფს 1; ლკ 12,49-53

ღვთის ძღვენია
მარადიული სიცოცხლე

რომ 6,23

წმ. პავლე ღმრთის ძღვენს ცოდვის საზღაურს უპირისპირებს. ეს უკანასკნელი არის სიკვდილი, ხოლო პირველი - მარადიული სიცოცხლე. ხოლო მარადიული სიცოცხლე ის სიცოცხლეა, რომლითაც ღმერთი ცოცხლობს, სრულყოფილი სიყვარულით, მაშასადამე, სრული სიხარულით, ჭეშმარიტი კმაყოფილებით ქმნილი სიცოცხლე. შენ მსახური ვიქნები, მამაო, და ახლავე დავიწყებ!

25 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I] მწ

2019 პარასკევი

რომ 7,18-25; ფს 118; ლკ 12,54-59

მ. გაბრიელ ასლანაშვილის გახსენება (+1930)

ვმადლობ ღმერთს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით რომ 7,25

მოციქული საკუთარ თავს ეკითხება, თუ როგორ შეუძლია ბოროტების და ურჩობისკენ მიდრეკილებათა დაძლევა, რომლებიც, მისდა უნებურად, მის შიგნითაა. ბედმა როდი გვარგუნა, რომ ბოროტება ჩავიდინოთ, რომელიც ყოველდღე გვაცდუნებს ჩვენივე ხორცის მეშვეობით, ვინაიდან გვაქვს სასოება: ნათელი და ძალა, იესოსგან, ჩვენი მეგობრისა და ძმისგან, რომ მოდის. შეგვიძლია მას დავენდოთ!

26 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I] მწ

2019 შაბათი

რომ 8,1-11; ფს 23; ლკ 13,1-9

სულიერი ფიქრები

სიცოცხლე და მშვიდობაა რომ 8,6

ჩვენი ხორცი, მაშასადამე, ჩვენი თავკერძა მოთხოვნები, მამის სიყვარულს გვაშორებენ. თუმცა, ჩვენს უშინაგანეს სამყაროში გადმოიღვრება სული, სულწმიდა, და ეს გვანიჭებს მშვიდობას ღმერთანაც და ადამიანებთანაც. მას შვთხოვთ, ის გვიყვარს და ვანებებთ, რომ ჩვენზე იმოქმედოს!

27 ოქტომბერი

რიგითი ჟამის XXX კვირადღე, «გ», [II], მწ

2019 კვირა

ზირ 35, 12-14.16-18(15-17.20-22); ფს 33; 2ტიმ 4,6-8.16-18; ლკ 18,9-14

ღმერთო, შემიწყალე მე, ცოდვილი ლკ 18,13

თავად იესო წარმოათქმევინებს ამ ლოცვას ცოდვილის ბაგეებს. და ესაა ლოცვა, რომელიც განსაკუთრებით ეამება მამას. მას მეც ვიმეორებ, არა იმიტომ, რომ კარგად წარმოვჩნდე და არც ყალბი თავმდაბლობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ისინი ჭეშმარიტი სიტყვებია. სიმართლეა, რომ ცოდვილი ვარ, დღესაც. და სიმართლეა ისიც, რომ ღმერთი მოწყალებას გასცემს.

28 ოქტომბერი

წმმ. სიმონი და იუდა, მოციქულნი, დ, [ს], წ

2019 ორშაბათი

ეფ 2,19-22; ფს 18; ლკ 6,12-19

სოხუმის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

წმიდათა თანამოქალაქენი და ღვთის სახლეულნი ხართ ეფ 2,19

, წმმ. სიმონ და იუდა მოციქულები დღეს თავიანთ სიხარულში გვიხმობენ. ისინი გველოდებიან ზეციურ იერუსალიმში და გვაძლიერებენ თავიანთი გალობით იესო-სკენ ჩვენი მსვლელობისას. იგია, იესო, მათ რომ მოუხმო დანარჩენ მოციქულებთან, და იგია, ჩვენც რომ მოგვიხმო თავისთან, რათა გვქონდეს სიცოცხლე, ის სიცოცხლე, მათ რომ გადაეცემათ, ვისაც დღეს ვხვდებით.

29 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირა [II] მწ

(16.X) წმ. ღირსი ზენომ იყალთოელი, მონაზონი, VIს

2019 სამშაბათი

რომ 8,18-25; ფს 125; ლკ 13,18-21

თუ იმის იმედი გვაქვს, რასაც ვერ ვხედავთ, მოთმინებით მოველით მას რომ 8,25

ამ ცხოვრებაში ტანჯვა არსებობს, და უხვად არსებობს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის გადაივლის, მაგრამ ჩვენი იმედი ამით როდი შემოიფარგლება: ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იმ სიკეთეებს მივიღებთ, ღმერთი რომ დაჰპირდა იესოს მოყვარულს. ჯერ ვერ ვხედავთ მათ: როგორც მდოგვის მარცვალი არა ჩანს, ესოდენ მცირე რომაა, და როგორც საფუარი არა ჩანს ფქვილში. ...მაგრამ არსებობს!

30 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირა [II] მწ

2019 ოთხშაბათი

რომ 8,26-30; ფს 12; ლკ 13,22-30

თვით სული შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით

რომ 8,26

დღეს იესო გვეუბნება: "ძალღონე არ დაიშუროთ, რათა შეხვიდეთ ვიწრო კარიდან". ჩვენს წინაშე ვხედავთ წვალებასა და ჯვარს, ჭეშმარიტ სიხარულს რომ უსწრებს წინ. განცვიფრებული ვარ და არ ვიცი, რა ლოცვებით წარვდგე მამის წინაშე. არ უნდა ვითხოვო ტანჯვისგან შვება? ის იესოსთან მაერთიანებს. მაშინმივენდობი სულიწმიდას, უკვე რომ მყოფობს ჩემში: იგი უკეთესად შეევედრება მამას, რათა ჩემი ცხოვრება ძღვენი იყოს ბევრისთვის და საამო - მამისთვის.

31 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირა [II] მწ

2019 ხუთშაბათი

რომ 8,31-39; ფს 108; ლკ 13,31-35

ვერავითარი სხვა ქმნილება ვერ შეძლებს ჩვენს ჩამოშორებას ღვთის სიყვარულისაგან რომ 8,39

დღეს იესო გვესაუბრება იმ დევნაზე, რომელთან შესახვედრადაც მიდის, ვინაიდან ქალაქ იერუსალიმს არ სურს მისი შეცნობა. ხოლო წმ. პავლე შეგვახსენებს, რომ ქრისტიანის ცხოვრებას მტრობენ ამ სამყაროში. მაგრამ ჩვენ არ შეიძლება გვეშინოდეს და მწუხარენი ვიყოთ: არაფერს შეუძლია ჩვენი ჩამოშორება მამა ღმერთის სიყვარულისგან, მისი კეთილგანწყობილებისგან, მისი მფარველობისგან. მის მკლავებში აღმოვჩნდებით, ვინაიდან იესო ჩვენშია!